

შპს ელმა 2008

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
2.1 მომზადების საფუძვლები	10
2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	12
2.3 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.....	12
2.4 საოპერაციო იჯარა	14
2.5 მოგების გადასახადი	14
2.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა.....	14
2.7 ძირითადი საშუალებები	14
2.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	16
2.9 მარაგები	17
2.10 ანაზღაურებები	17
2.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები	18
2.12 ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები.....	18
2.13 სესხები	20
2.14 საკუთარი კაპიტალი.....	20
2.15 დივიდენდები.....	20
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები.....	20
3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები	20
3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება.....	21
3.3 სასამართლო დავები.....	21
4. შემოსავალი	21
5. მომავალი საიჯარო გადასახდელები.....	22
6. სხვა ხარჯები	22
7. ძირითადი საშუალებები	22
9. მარაგები.....	24
10.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
11. გადახდილი ავანსები	25
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
14. კაპიტალი.....	26
15. საერთო მოგება	26
16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	27
17. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან	29
18. პირობითი ვალდებულებები	29
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	30

შპს ელმა 2008 ს/კ 206328918 ხელმძღვანელობას:

დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

„აუდიტ ლუქს სერვისი“-ს (ს/კ 400092760) მიერ (SARAS-F-844250 ; აუდიტორის ირინე დავრაშელიძე (პ/ნ 01001025692, სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-721631; <https://www.saras.gov.ge/>) ჩატარებულია შპს ელმა 2008 ს ს/კ 206328918 თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აგრეთვე სრული შემოსავლისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლებისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს ელმა 2008 ს ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს ელმა 2008 ს ს/კ 206328918 იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას

SARAS-F-844250 ; SARAS-A-721631; <https://www.saras.gov.ge/> ტელ/ფაქსი: (+995 32) 2952093მობ: 598508887, 595439333მისამართი:

მარჯანიშვილის ქ.#21 ს/ნ 400092760 ელ-ფოსტა: auditlux@yahoo.com ; irina.davrashelidze@yahoo.com გვერდი www.auditluxservice.ge

ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ფონდის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ,ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ აღმოვაჩინეთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვეყნე დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანსაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დირექტორი

გარიგების პარტნიორი

ირინე დავრაშელიძე

22 სექტემბერი 2021 წ



SARAS-F-844250 ; SARAS-A-721631; <https://www.saras.gov.ge/> ტელ/ფაქსი: (+995 32) 2952093 მობ: 598508887, 595439333 მისამართი:

მარჯანიშვილის ქ. #21 ს/ნ 400092760 ელ-ფოსტა: auditlux@yahoo.com ; irina.davrashelidze@yahoo.com ვებ-გვერდი www.auditluxservice.ge

შპს "ელმა 2008 "

ფინანსური ანგარიშგება 2020 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.20წ	31.12.19წ	31.12.18წ
აქტივები			
ფულადი სახსრები	4 249 642	965 348	2 211 592
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7 875 994	6 083 889	5 580 763
სავაჭრო მოთხოვნები	1 218 193	984 273	955 908
გადახდილი ავანსები	899 180	1 425 640	1 075 162
ძირითადი საშუალებები	5 850 446	5 681 241	3 722 165
არამატერიალური აქტივები	28990	33563	38274
სულ აქტივები:	20 122 445	15 173 954	13 583 864
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 325 863	466 139	309 500
მიღებული ავანსები	131 793	73250	48118
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	88339
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	220	220	220
გაუნაწილებელი მოგება	18 664 569	14 634 345	13 137 687
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	20 122 445	15 173 954	13 583 864

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 12 მარტს.

დირექტორი:

/გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:

/ნონა პაპოშვილი/

შპს "ელმა 2008 "

ფინანსური ანგარიშგება 2020 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.20წ	31.12.19წ	31.12.18წ
აქტივები			
ფულადი სახსრები	4 249 642	965 348	2 211 592
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7 875 994	6 083 889	5 580 763
სავაჭრო მოთხოვნები	1 218 193	984 273	955 908
გადახდილი ავანსები	899 180	1 425 640	1 075 162
ძირითადი საშუალებები	5 850 446	5 681 241	3 722 165
არამატერიალური აქტივები	28990	33563	38274
სულ აქტივები:	20 122 445	15 173 954	13 583 864

ვალდებულებები და კაპიტალი

ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 325 863	466 139	309 500
მიღებული ავანსები	131 793	73250	48118
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	88339

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	220	220	220
გაუნაწილებელი მოგება	18 664 569	14 634 345	13 137 687

სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	20 122 445	15 173 954	13 583 864
---------------------------------------	-------------------	-------------------	-------------------

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 12 მარტს.

დირექტორი:



მთ. ბუღალტერი:





დირექტორი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი პაპოშვილი/

10-30 გვერდზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "ელმა 2008 "

ფინანსური ანგარიშგება 2020 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	24 068 194	20 441 963
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(17 409 608)	(15 418 878)
საერთო მოგება	6 658 586	5 023 085
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(1 082 098)	(1 043 447)
საოპერაციო მოგება	5 576 488	3 979 638
არასაოპერაციო შემოსავალი	414 118	53588
არასაოპერაციო ხარჯი	(126 165)	(5429)
საკუროს სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	(21217)	47
მოგება გადასახადით დაბეგრამდე	5 843 224	4 027 844
მოგების გადასახადი	-	(386)
წლის მოგება	5 843 224	4 027 458
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	5 843 224	4 027 458

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 12 მარტს.

დირექტორი:

/გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:

/ნონა პაპოშვილი/

შპს "ელმა 2008 "

ფინანსური ანგარიშგება 2020 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	24 068 194	20 441 963
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(17 409 608)	(15 418 878)
საერთო მოგება	6 658 586	5 023 085
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(1 082 098)	(1 043 447)
საოპერაციო მოგება	5 576 488	3 979 638
არასაოპერაციო შემოსავალი	414 118	53588
არასაოპერაციო ხარჯი	(126 165)	(5429)
საკუთრო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	(21217)	47
მოგება გადასახადით დაბეგრამდე	5 843 224	4 027 844
მოგების გადასახადი	-	(386)
წლის მოგება	5 843 224	4 027 458
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	5 843 224	4 027 458

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 12 მარტს.

დირექტორი:



/გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:

6.5.550

/ნონა პაპოშვილი/

შპს "ელმა 2008 "

ფინანსური ანგარიშგება 2020 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	220	13 137 687	13 137 907
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის წმინდა მოგება		4 027 458	4 027 458
გადახდილი დივიდენდი	-	(2 530 800)	(2 530 800)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	220	14 634 345	14 634 565
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის წმინდა მოგება		5 843 224	5 843 224
გადახდილი დივიდენდი	-	(1 813 000)	(1 813 000)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	220	18 664 569	18 664 789

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 12 მარტს.

დირექტორი:

/გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:

/ნონა პაპოშვილი/

შპს "ელმა 2008 "

ფინანსური ანგარიშგება 2020 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	220	13 137 687	13 137 907
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის წმინდა მოგება		4 027 458	4 027 458
გადახდილი დივიდენდი	-	(2 530 800)	(2 530 800)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	220	14 634 345	14 634 565
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის წმინდა მოგება		5 843 224	5 843 224
გადახდილი დივიდენდი	-	(1 813 000)	(1 813 000)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	220	18 664 569	18 664 789

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 12 მარტს.

დირექტორი:



/გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:



/ნონა პაპოშვილი/



შპს "ელმა 2008 "

ფინანსური ანგარიშგება 2020 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2020 წელი	2019 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მომხმარებლიდან მიღებული ფულადი ნაკადები	27 949 571	23 987 377
სავაჭრო ვალდებულ-ზე გაცემული ფულ. ნაკადები	(19 817 294)	(19 714 704)
დღგ და სხვა გადასახადები	(2 894 618)	(2 824 573)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულ. სახსრები	(343 335)	(313 759)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(111 639)	(187 009)
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:	4 782 685	947 332
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა დღგ ჩათვლით	(39389)	(56930)
ბანკში დარიცხული %	6913	1826
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების მიღება	1 791 000	85000
გადახდილი დივიდენდი	(1 722 350)	(2 183 860)
გადახდილი პროცენტი	(15837)	(123)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა	272 272	45511
სესხისა და გადასახდელი ანგარიშების გადახდა	(1 791 000)	(85000)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/კლება	3 284 294	(1 246 244)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	965 348	2 211 592
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	4 249 642	965 348

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 12 მარტს.

დირექტორი:

/გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:

/ნონა პაპოშვილი/

შპს "ელმა 2008"

ფინანსური ანგარიშგება 2020 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2020 წელი	2019 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მომხმარებლიდან მიღებული ფულადი ნაკადები	27 949 571	23 987 377
სავაჭრო ვალდებულ-ზე გაცემული ფულ. ნაკადები	(19 817 294)	(19 714 704)
დღგ და სხვა გადასახადები	(2 894 618)	(2 824 573)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულ. სახსრები	(343 335)	(313 759)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(111 639)	(187 009)
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:	4 782 685	947 332
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შემენა დღგ ჩათვლით	(39389)	(56930)
ბანკში დარიცხული %	6913	1826
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების მიღება	1 791 000	85000
გადახდილი დივიდენდი	(1 722 350)	(2 183 860)
გადახდილი პროცენტი	(15837)	(123)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა	272 272	45511
სესხისა და გადასახდელი ანგარიშების გადახდა	(1 791 000)	(85000)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/კლება	3 284 294	(1 246 244)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	965 348	2 211 592
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	4 249 642	965 348

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 12 მარტს.

დირექტორი:




გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:



ნონა პაპოშვილი/

შპს "ელმა 2008 "

ფინანსური ანგარიშგება 2020 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ელმა 2008 (შემდგომში "კომპანია") არის 2008 წლის 18 აპრილიდან საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ თბილისი ისანი სამგორის რაიონი, ვარკეთილი 3, 3 მკრ /რკორ 341, ბ, 48. მისი საინდენტიფიკაციო კოდი: 206328918.

კომპანია ფლობს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორ ობიექტს. მისი ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მოსაპირკეთებელი პროდუქციის რეალიზაცია. კომპანია აწარმოებს პროდუქციას. საწარმოო პროცესი ხორციელდება კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, გურამიშვილის #158. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია არის: "ლამინირებული იატაკის ქვეშ დასაფენი ღრუბელი". კომპანია პროდუქციას ყიდის საქართველოს ტერიტორიაზე. კომპანიის კლიენტები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 31 .

კომპანიის წილი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად: გიორგი ოდიკაძე-100%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

2.1 მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

რადგან 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს სსბასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

შპს ელმა 2008 ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

შპს ელმა 2008 ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს შპს ელმა 2008

ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კოვიდ 19 – ის გავლენის შედეგად, მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში სხვადასხვა ინდუსტრია გამოწვევების და სირთულეების წინაშე დადგა. შპს ელმა 2008 არსებულ ვითარებაში შეაფასა მომავალი გეგმები შედეგად შპს ელმა 2008 ხელმძღვანელობის შეფასებით არსებობს საკმარისი რწმუნება, იმის შესახებ რომ შპს ელმა 2008 ფუნქციონირებას განაგრძობს მინიმუმ 3 წლის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც შპს ელმა 2008 ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც შპს ელმა 2008 ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური			
კურსი	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233	0.04403
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.0295	0.04642

2.3 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შპს ელმა 2008 აღიარებს შემოსავალს დაპირებული მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც შპს ელმა 2008 მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. შპს ელმა 2008 იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;

- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება
- სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

შპს ელმა 2008 შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

შემოსავლები

შპს ელმა 2008 საქმიანობა არის , ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში საცალო და საბითუმო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები, სავაჭრო შეღავათები და მოცულობის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი მომსახურების ხელშეკრულების სახით;

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შპს ელმა 2008 კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. შპს ელმა 2008 მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

შპს ელმა 2008 შეფასებაში ასახავს ფასდათმობას, რომელსაც მომხმარებელი მიიღებს ოფციონის გამოყენებისას, რომელიც კორექტირდება შემდეგი ფაქტორის გათვალისწინებით: ა) ფასდათმობა, რომლის მიღებაც მომხმარებელს შეუძლია ოფციონის გამოყენების გარეშე; და ბ) ამ ოფციონის გამოყენების ალბათობა. ამასთანავე, როდესაც მომხმარებელს გააჩნია სამომავლო საქონლის ან მომსახურების შეძენის არსებითი უფლება და ეს საქონელი ან მომსახურება თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ან მომსახურების ანალოგიურია და მიწოდებაც ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ხორციელდება;

შპს ელმა 2008 გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

2.4 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

2.5 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც შპს ელმა 2008 გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები;

2.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.7 ძირითადი საშუალებები

შპს ელმა 2008 ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარდება, როგორც ანარიცხი.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ან შპს ელმა 2008 მიერ შიდა მოხმარებისათვის აგებულ აქტივებთან მიმართებაში, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების დასრულებასა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ცვეთა დაანგარიშდება აქტივის ღირებულებაზე (შემცირებული აქტივის ნარჩენი ღირებულებით) დაყრდნობით.

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივის განვითარებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადრისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენობები-ნაგებობები	20-50 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-10 წელი
მანქანა დანადგარები	9-10 წელი
კომპიუტერი და ტექნიკური აღჭურვილობა	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7 წელი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და დანარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა

განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

2.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს შპს ელმა 2008 გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, შპს ელმა 2008 აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში, მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება შესაბამისი პარტიის ინდივიდუალური დანახარჯებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია უწყვეტი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდი-საშუალო შეწონილი.

დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები, ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით. საწარმოო არაპირდაპირი ხარჯის განაწილებისთვის, განაწილების ბაზას წარმოადგენს გეგმიური თვითღირებულება.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით , აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით და აისახება სხვა სასაქონლო მარაგების ანგარიშზე. ტალონები, (ბარათები) ანგარიშვალდებულ პირზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით. გახარჯული საწვავი ჩამოიწერება, ფაქტობრივი გარბენილი კილომეტრების მიხედვით ხარჯვის ნორმების თანახმად. სხვა ტექნიკის შემთხვევაში მაგ: თვითმავალი ამწე-ნამუშევარი საათების მიხედვით.

ცალკეული მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა: მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება, და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს. მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები, (კალკულატორი, მადულარა და სხვ.) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება შესაბამის ხარჯებს. კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კარტრიჯი, და სხვ) შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს. მასალები რომელიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისთვის, ძირითადი საშუალების შესაკეთებლად: საჭირო სათადარიგო ნაწილები, ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

2.10 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც შპს ელმა 2008 წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ შპს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია). თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

2.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

2.12 ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. შპს ელმა 2008-ს ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება შპს ელმა 2008 ს ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები) ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული

ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. შპს ელმა 2008 საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. შპს ელმა 2008 აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივი აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სხვა ხარჯების მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. შპს ელმა 2008 სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას. ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო დეპოზიტებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, შპს ელმა 2008 მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაწევა

შპს ელმა 2008 ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს აწეებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და შპს ელმა 2008 გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

2.13 სესხები

კომპანიას აქვს მიმდინარე სასესხო ვალდებულებები, სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ყავს როგორც შტატის ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

2.14 საკუთარი კაპიტალი

შპს ელმა 2008 ს საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება შპს ელმა 2008 ს წესდებით. შპს ელმა 2008 წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.15 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

შპს ელმა 2008 ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს ელმა 2008 გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას,

სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში შპს ელმა 2008 არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

შპს ელმა 2008 აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 სასამართლო დავები

შპს ელმა 2008 ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხების შეფასებისას შპს ელმა 2008 ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. შემოსავალი

შპს ელმა 2008- ს შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი გაყიდვის საცალო და საბითუმო ხელშეკრულების სახით;

ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მიღებული შემოსავალი, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები, სავაჭრო შეღავათები და მოცულობის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს;

შემოსავალი 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2020	31/12/2019
სულ შემოსავლები	24 068 194	20 441 963
საქონლის გაყიდვიდან	24 068 194	20 441 963

5. მომავალი საიჯარო გადასახდელები

მომავალი საიჯარო გადასახდელები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ დაფიქსირებულია.

6. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2019 და 2020 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2020	31/12/2019
სულ საოპერაციო ხარჯები	1 082 098	1 043 447
საიჯარო ქირა	383 890	437 999
შრომის ანაზღაურება	389 479	357 320
საოფისე ინვენტარი	1186	1517
კომუნიკაციის ხარჯი	670	701
დაზღვევა	2877	285
ექსპლუატაციის ხარჯი	8212	5388
საპენსიო	8574	7737
ცვეთა და ამორტიზაცია	59148	34100
სხვა საგადასახადო ხარჯი	43685	33529
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული თანხები	27954	25228
მივლინების ხარჯი	14750	53117
ბანკის მომსახურების საკომისიო	13731	16174
კომუნალური ხარჯი	8828	9131
რეკლამის ხარჯი	5031	554
საწვავის ხარჯი	39506	25326
სხვა საერთო ხარჯი	39752	35341
ჯარიმები	34825	-

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა	მანქანა- დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი	სატრანსპორ- ტო საშუალებები	კეთილმო- წყობა	სხვა ძირითა დი საშუალო ეგები	სულ
ისტორიული ღირებულება									
2019 წლის 1 იანვარი	2035193	294661	273076	33280	1847 6	17869	21834	4378	2698767
შემოსვლა	0	62234		3531	3767	48478	7392		125402
გასვლა 2019 წელი						17402	0	0	17402
2019 წლის 31 დეკემბერი	2035193	356895	273076	36811	2224 3	48945	29226	4378	2806767
შემოსვლა	0	3219680	27329	9213	1008	49337			3306567
2020 წელი									
გასვლა 2020 წელი	0	0	0	0	0	0	0	4378	4378
2020 წლის 31 დეკემბერი	2035193	3576575	300405	46024	2325 1	98282	29226	0	6108956
დაგროვილი ცვეთა		29773	30564	3772	3986	8959	2712		79766
2019 წლის 1 იანვარი	0	24267	65491	22151	8907	12688	8403		141907
ცვეთა 2019 წლის განმავლობაში	0	12644	27781	4266	3191	4367	0		52249
2019 წლის 31 დეკემბერი	0	36911	93272	26417	1209 8	1518	10730	0	180946
ცვეთა 2020 წლის განმავლობაში	0	29773	30564	3772	3986	8959	2712	0	79766
2020 წლის 31 დეკემბერი	0	66684	123836	30189	1608 4	10477	13442	0	260712
საბალანსო ღირებულება									
2019 წლის 1 იანვარი	2035193	270394	207585	11129	9569	5181	13431	4378	2556860
2019 წლის 31 დეკემბერი	2035193	319984	179804	10394	1014 5	47427	18496	4378	2625821
2020 წლის 31 დეკემბერი	2035193	3509891	176569	15835	7167	87805	15784	0	5848244

შენიშვნა: კომპანიამ 2020 წელს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დარგა 14 ხე, რომლის ღირებულებამ შეადგინა 2200 ლარი.

კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი გურამიშვილის ქ 158), 2019, 2020 წელს მიმდინარეობდა შენობის მშენებლობა. 2019 წლის ბოლოს მდგომარეობით დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე აღირიცხებოდა 3 055 419 ლარი. 2020 წლის ბოლოს დასრულდა მშენებლობა. შენობაში განთავსებულია სასაწყობო, მაღაზიის და საოფისე ფართები. . კომპანია გეგმავს სასაწყობო ფართების ნაწილის იჯარით გაცემას.

2020 წელს, (გურამიშვილის 158), კომპანიამ დაასრულა ეზოს ბეტონის საფარის დაგება, მესერის და ჭიშკარის მოწყობა და წყლის ჭაბურღილის გაკეთება.

2020 წელს ძირითადი საშუალებების გადაფასება არ მომხდარა.

8.არამატერიალური აქტივები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
საბუღალტრო პროგრამა	1962	2892	1833
ლიანდაგზე დაერთების სარგებლობის უფლება	27028	30671	36441
სულ	28990	33563	38274

კომპანიამ მოახდინა მის კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული რკინიგზის ლიანდაგის აღდგენა რეაბილიტაცია. „საქართველოს რკინიგზის“ მიერ კომისიური შემოწმების და ექსპლუატაციისთვის ვარგისიანობის დადგენის შემდგომ, მოხდა სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციის ხელშეკრულების გაფორმება. საქონლის იმპორტით შეძენის დროს ტრანსპორტირებისას კომპანია გეგმავს სარკინიგზო ტრანსპორტით სარგებლობას.

9. მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
საქონელი	7 643 056	5 864 070	5 448 713
ნედლეული და მასალები	195 199	172 369	73044
მზა პროდუქცია	19811	25983	44277
სხვა მარაგები	17928	21467	14729
სულ:	7 875 994	6 083 889	5 580 763

ნედლეული და მასალები: ნედლეული და მასალები მოიცავს პროდუქციის წარმოებისთვის ყველა საჭირო მარაგებს. მზა პროდუქცია: არის კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია რომელიც განკუთვნილია სარეალიზაციოდ. სხვა მარაგები: სათანადო ნაწილები რომელიც არ აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების კრიტერიუმებს აღირიცხება სხვა მარაგების ანგარიშზე და გამოყენებისთანავე აღიარდება ხარჯად. სხვა მარაგები მოიცავს საწვავს, სხვა სახარჯ მასალებს, და ძირითადი საშუალების დემონტაჟის დროს მიღებულ აქტივს

10.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები 1 წლამდე	233 079	95129
სავაჭრო მოთხოვნები 1 წელზე მეტი	985 114	889 144

გასული წლების მონაცემებზე დაყრდნობით, კომპანიამ განსაზღვრა საექვო ვალის ანარიცხები (კორექტირება). საექვო ვალის აღსარიცხად გამოიყენა ანგარიში „1415- საექვო მოთხოვნების კორექტირება“, რომელიც კონტრალურია ანგარიშისა „1410- მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ (სავაჭრო მოთხოვნები). საექვო ვალის ანარიცხი - 30454 ლარი მთლიანად შეტანილია ხარჯებში. (საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი). საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის 1415 ანგარიშზე კორექტირების საწყისი ნაშთიდან, (რომელიც შეადგენდა 80798 ლარს), პერიოდის განმავლობაში მოხდა ვალის გადახდა 2500 ლარი. აქედან გამომდინარე, 1415 ანგარიშის კრედიტში დაგროვილმა საექვო მოთხოვნამ, (საწყისი ნაშთის და ბრუნვის გათვალისწინებით) საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შეადგინა 108 752 ლარი.

11. გადახდილი ავანსები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ადგილობრივ მომწოდ. გადახდილი ავანსები	43487	83301	500 692
წინასწარ გადახდილი გადასახადი	29335	8590	-
უცხოელ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	826 358	1 333 749	574 470
სულ	899 180	1 425 640	1 075 162

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება, ქართულ ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ფული სალაროში (ლარი)	85	2908	213 574
ეროვნული ვალუტა რეზიდ. ბანკში	280 647	115 461	98752
უცხოური ვალუტა რეზიდ. ბანკში	3 968 910	846 979	1 899 266
სულ:	4 249 642	965 348	2 211 592

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი აქტივებისთვის გამოიყენებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი - 3,2766 ლარი, 1 ევრო - 4,0233 ლარი, 100 რუსული რუბლი - 4,4031 ლარი.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 1 წლამდე	1 091 603	456 553
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 1 წელზე მეტი	234 260	9586

კომპანია სარგებლობს საკრედიტო ხაზით სს „თიბისი“ ბანკიდან, ეროვნულ ვალუტაში. საპროცენტო განაკვეთი წლიური 12,5%. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასესხო ვალდებულება კომპანიას არ გააჩნია.

14. კაპიტალი

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საწესდებო კაპიტალი შეადგენს 220 ლარს. 2020 წელს საწყისი გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 14 634 345 ლარს, ხოლო მიმდინარე წლის მოგება 5 843 224 ლარს. 2020 წელს გაცემული დივიდენდი 1 813 000 ლარს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგება არის 18 664 569 ლარი.

15. საერთო მოგება

	31.12.2020	31.12.2019
საქონლის და მომსახურებით მიღებული შემოსავალი	24 068 194	20 441 963
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	17 409 608	15 418 878
საერთო მოგება	6 658 586	5 023 085

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით.

2019 და 2020 წელს კომპანიამ გაანაწილა 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდი . მოგების გადასახადი დაექვემდებარა ჩათვლას. საანგარიშო პერიოდში, მოგების გადასახადით სხვა დასაბეგრი ოპერაცია კომპანიას არ ჰქონია.

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად შპს ელმა 2008 დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. შპს ელმა 2008 ს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო დეპოზიტები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

არასაოპერაციო შემოსავალი

	31.12.2020	31.12.2019
შემოსავალი ვალუტის გადაფასებიდან	374 768	47945
საპროცენტო შემოსავალი	6913	1826
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	32438	3817
სულ:	414 119	53588

არასაოპერაციო ხარჯი

	31.12.2020	31.12.2019
საპროცენტო ხარჯი	15838	123
ხარჯი ვალუტის გადაფასებიდან	105 723	202
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლით	4378	1865
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	226	3239
სულ:	126 165	5429

ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები, საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში, გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა.

მოგება / (ზარალი) უცხოური ვალუტის კონვერტაციის შედეგად

	31.12.2020	31.12.2019
დადებითი საკუროსო სხვაობა	15757	14558
უარყოფითი საკუროსო სხვაობა	36974	14511
კონვერტაციით მიღებული მოგება/(ზარალი)	21217	47

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა შპს ელმა 2008 მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ შპს ელმა 2008 შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

შპს ელმა 2008 ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს შპს ელმა 2008 სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, შპს ელმა 2008 ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

შპს ელმა 2008 საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო

განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. შპს ელმა 2008 მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს შპს ელმა 2008 ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

კაპიტალის მართვა

შპს ელმა 2008 თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შპს ელმა 2008 აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

შპს ელმა 2008 ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. შპს ელმა 2008 ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. შპს ელმა 2008 მენეჯმენტი დამატებით მიმოიხილავს რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენს ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას შპს ელმა 2008 რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

17. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

2020 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები განხილულია დაკავშირებულ მხარეებთან.

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ელმა 2008 არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, შპს ელმა 2008 მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, შპს ელმა 2008 ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და შპს ელმა 2008 დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. შპს ელმა 2008 მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ შპს ელმა 2008 ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2021 წლის 12 მარტს.

2020 წლის დასაწყსიდან, მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა კორონავირუსი (კოვიდ-19) და 2020 წლის 11 მარტს „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ“ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ვირუსის გავრცელების შედეგად სიტუაცია სწრაფად ცვალებადია. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ, ისე ადგილობრივი ბაზრებზე ამასთან, მას მნიშვნელოვანი პირდაპირი შედეგი არ ჰქონია შპს ელმა 2008 საქმიანობაზე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის.

აღნიშნული მოვლენების შედეგად, 2021 წელს კომპანიას დროებით შეფერხებული ჰქონდა საოპერაციო საქმიანობა და მენეჯმენტის გაანგარიშებით აღნიშნულ პერიოდში კომპანიას შეუმცირდა შემოსავალი 1 800 000 ლარით. კომპანია თვლის, რომ მიუხედავად აღნიშნული ნეგატიური ფაქტორისა მას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია, რომ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ პერიოდში არ გამოვლენილა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს ელმა 2008
მმართველობის ანგარიშგება
2020 წ.
(საქმიანობის მიმოხილვა)
მომზადებულია ადმინისტრაციის მიერ

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად	3
1. საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა	4
ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ.....	4
შპს ელმა 2008 ორგანიზაციული სტრუქტურა.....	5
მისია.....	5
მიზნები.....	6
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება.....	6
ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ.....	6
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	7
3. საქმიანობის აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არა ფინანსური მაჩვენებლები.....	10
ფინანსური ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	10
შპს ელმა 2008 ს ძლიერი მხარეები.....	10
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	10

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და

აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების

შესაბამისად

შპს ელმა 2008 ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მმართველობითი ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს ელმა 2008- ს თანხლები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს ელმა 2008 მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“

პატივისცემით,

გარიგების აუდიტორი

ირინე დავრაშელიძე



SARAS-F-844250 ; SARAS-A-721631; <https://www.saras.gov.ge/> ტელ/ფაქსი: (+995 32) 2952093მობ: 598508887, 595439333მისამართი:

მარჯანიშვილის ქ.#21 ს/ნ 400092760 ელ-ფოსტა: auditlux@yahoo.com ; Irina.davrashelidze@yahoo.com ვებ-გვერდი www.auditluxservice.ge

1. საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს ელმა 2008 (შემდგომში "კომპანია") არის 2008 წლის 18 აპრილიდან საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია ფლობს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორ ობიექტს. მისი ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მოსაპირკეთებელი პროდუქციის რეალიზაცია.

კომპანიის წილი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად: გიორგი ოდიკაძე-100%.

კომპანიას იმპორტით შემოაქვს და მომხმარებელს სთავაზობს მაღალი ხარისხის სამშენებლო მოსაპირკეთებელი პროდუქციას, კერძოდ ინტერიერისა და ექსტერიერის კარები და ლამინატები პროექტზე მორგებულ, ევროსტანდარტის შესაბამის პროდუქციას, მომსახურების სრული სერვისით: ღიობის აზომვა, კარის ფორმირება, დემონტაჟი და მონტაჟი.

ბოლო პერიოდში კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა პროდუქციის ასორტიმენტი. დაამატა სხვადასხვა ქვეყნიდან იმპორტირებული საქონელი, რის გამოც გაიზარდა კმაყოფილი მომხმარებლების რიცხვიც.

კომპანიამ დაასრულა გურამიშვილის გამზირზე #158 საოფისე, მაღაზია -საწყობის შენობის მშენებლობა. აღნიშნული შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 2020 წლის ბოლოს. შენობა სარგებლობს სარკინიგზო ინფრასტრუქტურით, რომლის რებილიტაცია და ექსპლუატაციაში შესვლა კომპანიამ დაასრულა 2020 წელს და მისასვლელი გზით. შენობაში განთავსებულია სრულიად კეთილმოწყობილი სასაწყობე ინფრასტრუქტურა, რომელიც გამიზნულია როგორც პირადი სარგებლობისთვის ასევე გასაქირავებლად. ფართის გაქირავება მომავალში კომპანიას დამატებით მოუტანს შემოსავალს. გარდა სასაწყობე ფართისა შენობაში განთავსებულია მაღაზიის და საოფისე ფართებიც. აღნიშნულ ფართში მომავალში კომპანია გეგმავს სავაჭრო ცენტრის განთავსებას.

ახალი შენობის სასაწყობე ფართში 2020 წელს კომპანიამ განათავსა კუთვნილი საქონელი და გააფართოვა საქონლის ასორტიმენტი, რამაც ხელი შეუწყო კომპანიის ზრდას.

გარდა იმპორტისა კომპანია აწარმოებს პროდუქციას. მაღალკვალიფიციური, გამოცდილი ოსტატებით დაკომპლექტებული საწარმოო პროცესი ხორციელდება კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, გურამიშვილის #158. სადაც უახლესი დაზგა-დანადგარებით მზადდება მომხმარებლისთვის სასურველი პროდუქცია "ლამინირებული იატაკის ქვეშ დასაფენი ღრუბელი". ყოველ წელს იზრდება გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ წარმოებული პროდუქციის ხარისხი და მოთხოვნა მაღალია. აგრეთვე კომპანია გეგმავს პროდუქციის ექსპორტზე გატანას.

ფინანსური რისკები:

საკრედიტო რისკი: საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ, მეორე მხარის მიმართ, ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი: ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომელიც ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. კომპანია სარგებლობს საბანკო დაწესებულების მაღალი ნდობით. მის განკარგულებაშია საკრედიტო ხაზი, რომელის გამოყენებისას, უმოკლეს ვადაში შეძლებს ვადადამდგარ ვალდებულების დაფარვას, თუმცა იშვიათად იყენებს მას.

სავალუტო რისკი: უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება, შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის მოგება ზარალზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე გარკვეულწილად გავლენას ახდენს სავალუტო გაცვლით კურსზე მომხდარი ცვლილებები.

საბაზრო რისკი: საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი რომელიც ხორციელდება მენეჯმენტის მიერ .

საპროცენტო რისკი: გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

კომპანიაზე რისკების გავლენა გადაიხედება რეგულარულად მენეჯმენტის მიერ საბაზრო მდგომარეობის და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების განხორციელებისას.

ბიზნესთან დაკავშირებული რისკები . ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. „კომპანიას“ არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორცაა სავალუტო კურსი, ფულადი გზავნილების მოცულობა, ინფრასტრუქტურული დანახარჯების მოცულობა, სურსათის ფასები, ნავთობის ფასები და სამომხმარებლო

ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს „კომპანიისთვის“ წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მომხმარებლების განწყობაში, და ფასების დონეში რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით. რყევები საქართველოს საცალო ყოველდღიური მოხმარების საქონლის ბაზარზე ისტორიულად დაკავშირებულია ცვლილებებთან საერთო ეკონომიკურ პირობებში, მოხმარებასთან, რომელიც ზოგადად იზრდება ეკონომიკური ექსპანსიის დროს და მცირდება რეცესიის დროს. საქართველოში ეკონომიკური ვარდნა გავლენას ახდენს როგორც საერთო მაკროეკონომიკურ პირობებზე, ასევე პირადი მოხმარების დონეზე. სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებამ საქართველოში ასევე შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტულ მომწოდებლებთან მოქმედი მიწოდების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფასდაკლების პირობის შეუსრულებლობა, რომელიც საზიანო გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

შპს ელმა 2008 ბაზარი, სადაც ოპერირებს, არის ძალიან ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშეების გამოჩენით და არსებული მოთამაშეების გასვლით. ახალ მოთამაშეებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე ბოლო 13 წლის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ხასიათდება მზარდი ტენდენციით და ფართოვდება, ახლადგამოჩენილი კონკურენტების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადად მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

COVID-19-ის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და კომპანიის სექტორზე

COVID-19 ურთულესი გამოწვევა და საფრთხეა როგორც ჯანდაცვის სისტემისთვის, ისე მსოფლიო და საქართველოს ეკონომიკისთვის. პანდემიის პირობებში სწრაფად ბრუნვადი საქონლის სექტორში (FMCG) ბრუნვამ 9.23 მილიარდ ლარს მიაღწია. აღნიშნული წინა წელთან შედარებით 0.7%-იან ზრდას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარმა ვერ მიაღწია პრე-პანდემიურ პერიოდში პროგნოზირებულ 7%-იან ზრდას, საბოლოო ჯამში სექტორში მაინც შენარჩუნდა პოზიტიური დინამიკა. სექტორში აღინიშნება, COVID-19-ის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზეგავლენა. კერძოდ, თანამშრომლების ტრანსპორტირების და დეზინფექციის ხარჯებმა მომგებიანობა შეამცირა;

სამუშაო საათების შემცირება და დაბალი გამტარუნარიანობა პანდემიის პერიოდში გაყიდვებზე ნეგატიურად აისახა;

კორონა ვირუსის პანდემიის გამოცხადებასთან დაკავშირებით, შპს ელმა 2008 ადმინისტრაცია ითვალისწინებს საქართველოს მთავრობისა და ჯანდაცვის მსოფლიო

ორგანიზაციის რეკომენდაციებს. ადმინისტრაციული შენობა და სავაჭრო ობიექტები მუდმივად აღჭურვილია პანდემიასთან გასამკლავებლად სრული ეკიპირებით. სამუშაოს დაწყების წინ კონტროლდება პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა. კოვიდის დადასტურების შემთხვევაში, კომპანია მყისიერად რეაგირებს რათა ხელი შეუშალოს ვირუსის გავრცელებას.

კომპანია ზრუნავს თანამშრომლების კმაყოფილების დონეზე. კარანტინის პერიოდში, ის უზრუნველყოფდა მათ ტრანსპორტირებას. თანამშრომლებს, ვინც ვერ სარგებლობდნენ აღნიშნული მომსახურებით, უნაზღაურდებოდათ ტაქსით ტრანსპორტირება. მათ, რომლებიც ვერ ახერხებდნენ სამუშაო ადგილზე გამოცხადებას, მიეცათ ფასიანი შვებულება. კომპანიის მენეჯმენტი ოპტიმისტურადაა განწყობილი. ქვეყანაში და მსოფლიოში არსებულმა კრიზისულმა სიტუაციამ კომპანიას ღირებული გამოცდილება შესძინა და მოსალოდნელ გამოწვევებს უკვე მომზადებული ხვდება.

შპს ელმა 2008 -ს ორგანიზაციული სტრუქტურა

დირექტორი				
იურიდიული დეპარტამენტი	რეგორმებისა და დაგეგმვის დეპარტამენტი	გაყიდვების დეპარტამენტი	ფინანსური დეპარტამენტი	საბაჟო დეპარტამენტი
მართვის ობიექტები	მართვის ობიექტები	მართვის ობიექტები	მართვის ობიექტები	მართვის ობიექტები

ხელმძღვანელობა ახდენს მუშაობის კოორდინაციას, მენეჯერი არის პრაქტიკაში მოტივაციის პრინციპების გამტარებელი და უბიძგებს თანამშრომლებს იმუშაონ სათანადო დონეზე.

კომპანიის გუნდი შედგება კვალიფიციური თანამშრომლებით. მათ შეუძლიათ გაუგებესებული სერვისებით მომხმარებლებს მოემსახურონ სწრაფად და ოპერატიულად. აგრეთვე შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო სადაც თანამშრომელთა ჯანმრთელობა

დაცულია. პერიოდულად ხორციელდება თანამშრომელთა გადამზადება. წახალისების მიზნით კომპანია თანამშრომლებს აჯილდოვებს ფულადი პრემიით.

შრომის უსაფრთხოება 2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. „კომპანიას“ წარმოეშობა მთელი რიგი ვალდებულებები აღნიშნული საკანონმდებლო აქტიდან გამომდინარე. საწარმოს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

მისია

კომპანიის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მომხმარებელს შესთავაზოს მაღალი ხარისხის სარემონტო მასალები- პროდუქცია. მენეჯმენტის მიერ იგეგმება სავაჭრო ცენტრების განთავსება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

მიზნები

შპს ელმა 2008 -ს მიზანია, ფასისა და ხარისხის შესაბამისი თანაფარდობით, მასობრივად ხელმისაწვდომი და კომფორტული გახადოს სარემონტო მასალების შეძენა მომხმარებლისთვის

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება;

ქვეყანაში შემუშავებულია განსაზღვრული კანონები და შექმნილია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები.

საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

საკანონმდებლო აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი
- საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ;
- საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ;
- საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ;
- საერთაშორისო დაბეგვრა
- ექსპორტ-იმპორტის ინფორმაცია

რეგულაციები:

- წესდება
- ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა

შპს ელმა 2008-ში დაცულია ორგანიზაციათა ფუნქციონირების წესები, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“. უზრუნველყოფილია კონკურენციული ბრძოლის წარმართვა შესაბამისად კანონის მოთხოვნებით;

სარეკლამო საქმიანობა განხორციელებულია რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

დაცულია მომხმარებლების უფლებები მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საგადასახადო ორგანიზაციებთან თავიანთი საქმიანობა წარმართულია საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესითა და პირობების გათვალისწინებით.

კომპანიას გამოკვლეული აქვს ეკონომიკის განვითარების მდგომარეობა იმ ქვეყნებში, რომლებშიც აპირებენ ბიზნესის დაწყებასა და განვითარებას. რაც ხელს შეუწყობს სწორი გადაწყვეტილებების მიღებას და მომავალი საქმიანობის გზების მეტი სიზუსტით განსაზღვრას.

3. საქმიანობის აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არა ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

	2020 წელი	2019 წელი	ცვლილება	% წინა წელთან შედარებით
მიმდინარე აქტივები	14243009	9459150	4783859	33,59
გრძელვადიანი აქტივები	5879436	5714804	164632	2,80
სულ აქტივები	20122445	15173954	4948491	24,59
სულ ვალდებულებები	1 457 656	539 389	918267	63,00
მოგება / ზარალი	5 843 224	4 027 458	1815766	31,07
სულ საკუთარი კაპიტალი	220	220	0	0,00
შემოსავალი				
რეალიზაციიდან	24 068 194	20 441 963	3626231	15,07

არაფინანსური მაჩვენებლები

შპს ელმა 2008 -ს ძლიერი მხარეებია:

- **ბიზნესის დაგეგმვა:** ბიზნესის შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით დაგეგმვის სამსახურის არსებობა;
- **შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა:** შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა გარემოს დაცვით საკითხებში სისტემატიურად ხორციელდება ნარჩენების აღრიცხვიანობის კონტროლი, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დახარისხების მეთვალყურეობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესის პროცესში, პროგრამების არჩევანი, გარემოს შეფასების ობიექტურობის გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა;
- **ინტერნაციონალიზაცია:** საერთაშორისო გარემო (პერსონალის მულტიკულტურული საზოგადოება), აქტიური ურთიერთობა სხვა ორგანიზაციებთან;
- **ურთიერთობა საზოგადოებასთან:** მჭირდრო კავშირები კერძო და საჯარო დაწესებულებებთან; შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის მიმართულებით ტრენინგების და ინსტრუქტაჟების ჩატარება;
- **სოციალური აქტივობა:** აქტიური სოციალური ცხოვრება; მოხმარებელთა კმაყოფილებისა თუ ერთგულების შენარჩუნებისა და ზრდისთვის კომპანიაში მუდმივად ტარდება სამომხმარებლო ბაზრის კვლევები, რომელთა შედეგების გაანალიზებით იგეგმება ბრენდის ყოველწლიური სტრატეგიული გეგმა. მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება ისეთი აქტივობები, რომლებიც მაქსიმალურად მორგებულია მათ სურვილებზე და მიზნად ისახავს მათ მოლოდინების გამართლებას. ბოლო კვლევების თანახმად მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანია ჯანსაღი და მაღალი ხარისხის პროდუქცია, რასაც კომპანია ძლიერ და ავტორიტეტულ ბრენდებთან თანამშრომლობით პასუხობს. ამავდროულად აქტიურად

მუშაობს ექსკლუზიური პროდუქტების ხაზზე და ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებიდან ახორციელებს ყველა სახის სტანდარტების შესაბამისი მაღალი ხარისხის პროდუქციის იმპორტს და რაც მთავარია იმპორტირებული პროდუქციის საფასო პოლიტიკა მაქსიმალურად ითვალისწინებს მომხმარებლის ინტერესებს.

2020 წლის მსოფლიო პანდემიის პერიოდში კიდევ ერთი ინოვაციური პროექტი დაიწყო კომპანიამ და თავის ერთგულ მომხმარებლებს პროდუქციის შეძენის უპრეცედენტო გზა შესთავაზა. კერძოდ, FB სივრცეში შეიქმნა დისტანციური შეკვეთის პლატფორმა, სადაც ChatBot-ის დახმარებით მომხმარებლებს შეუძლიათ სასურველი პროდუქცია დისტანციურად აარჩიონ;

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითად რისკს განეკუთვნება შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი რეგულაციის შემოღება და სხვა. ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხშირია სხვადასხვა ტიპის მარკეტინგული აქტივობები, რაც მოითხოვს პერმანენტულ ცვლილებებს საოპერაციო საქმიანობაში და შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში.